



15.11.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პირველი სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №4

1. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	სტატუსი	ორგანიზაცია
თამარ ონიანი	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნაზი ჯანუაშვილი	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შოთა ქადაგიძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი პავლაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა მეზურნიშვილი	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა გიგაური	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია მახათაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ თომაშვილი	მონაწილე	ევროპის კავშირი
ანიკო ფარჯიანი	მონაწილე	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
კოტე ჭილაია	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ლეილა არხომაშვილი	მონაწილე	ადვოკატი (ყოფილი მოსამართლე)
ვერიკო ბერეკაშვილი	მონაწილე	საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)
მაია ტალახაძე	მონაწილე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ოლიკო შერმადინი	მონაწილე	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI Georgia)
ეკა ციმაკურიძე	მონაწილე	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მარიამ მხატვარი	მონაწილე	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მარიამ მაჭარაშვილი	კოორდინატორი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	მდივანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

---

- სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.

## 3. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

---

2018 წლის 15 ნოემბერს, პირველი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 8 წევრი. შეხვედრის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლები, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენელი და ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ადგილობრივი ექსპერტი.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის და ყოფილი მოსამართლის სურვილის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება მონაწილის სტატუსით მათი სხდომაზე დაშვების თაობაზე.

პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პირველი სტრატეგიული მიმართულებით (სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა) გათვალისწინებული შეუსრულებელი, ნაწილობრივ შესრულებული და შესრულებული აქტივობები. ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შემდეგი აქტივობების შესრულების მდგომარეობაზე: მოსამართლის ფუნქციური იმუნიტეტის დადგენა და იმუნიტეტის მოხსნის ცხადი და გამჭირვალე პროცედურების გაწერა<sup>1</sup>, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისთვის ფუნქციური იმუნიტეტით და სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა<sup>2</sup>, იუსტიციის სკოლის მსენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა<sup>3</sup>, კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა<sup>4</sup>, სასამართლოს თანამდებობაზე გამწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციის თაობაზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება<sup>5</sup>, ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის გამართვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად,<sup>6</sup> კვლევის ჩატარება მოსამართლეთა მონაწილეობით, მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის მიხედულების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მართლმსაჯულების განხორციელების დროს შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებისა და განსხვავებული აზრის შედგენის კულტურის ამაღლებისათვის

---

<sup>1</sup> პროგრამა 1.1.1-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>2</sup> პროგრამა 1.1.2-ის მესამე აქტივობა.

<sup>3</sup> პროგრამა 1.2.1-ის პირველი აქტივობა.

<sup>4</sup> პროგრამა 1.2.1-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>5</sup> პროგრამა 1.2.2-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>6</sup> პროგრამა 1.2.4.

შესაბამისი სემინარებისა და ტრენინგის პროგრამის შემუშავება/განახლება და ჩატარება<sup>7</sup>, სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის კვლევა და მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა, „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინსტიტუტის დახვეწის საჭიროების კვლევა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება<sup>8</sup> და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ამაღლებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.<sup>9</sup>

აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოითქვა ასევე ყოფილი მოსამართლის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდანაც.

#### 4. პირველი სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგ ზე

---

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პირველი სტრატეგიული მიმართულებით (სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა) გათვალისწინებულ ძირითად აქტივობებს მიენიჭა სტატუსი შეუსრულებელი, ნაწილობრივ შესრულებული ან შესრულებული.

ჯგუფის წევრებმა გარკვეული აქტივობებიდან გამომდინარე განსაზღვრეს სამომავლოდ შესასრულებელი სამუშაოები. მათ შორის მოსამართლეთა სოციალური გარანტიების თაობაზე დაიგეგმა შეხვედრის ჩატარება.

#### 5. თანდართული დოკუმენტები

---

- პირველი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 15 ნოემბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:  თამარ ონიანი  
 ნაზი კანუზაშვილი  
მდივანი:  ნინო დებურჯანიანი

<sup>7</sup> პროგრამა 1.4.1-ის მეორე და მესამე აქტივობები.

<sup>8</sup> პროგრამა 1.4.2-ის პირველი და მეორე აქტივობები.

<sup>9</sup> პროგრამა 1.4.4-ის მეორე აქტივობა.

# I სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

(სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა)

2018 წლის 15 ნოემბერი, 15:00

## დღის წესრიგი:

1. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.